

საკითხის მოკლე მიმოხილვა

FLA წარმოადგენს მრავალმხრივ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს ბიზნესის, უნივერსიტეტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ძალისხმევას, მთელი მსოფლიოს მასშტაბით დასაქმებული პირებისათვის, პირობების გაუმჯობესების მიზნით. FLA პერიოდულად აქვეყნებს მოხსენებებს, გლობალური მიწოდების ქსელში არსებულ მიმდინარე პრობლემების შესახებ. ჩვენი მიზანია, შემოთხსენებული მოხსენებების მეშვეობით, ვუზრუნველყოთ მოცემული საკითხის სხვადასხვა ტრილში განხილვა. FLA მუდმივად იმედოვნებს, რომ მისი ბიზნეს პარტნიორები გაითვალისწინებენ ყველა სამართლებრივ მოთხოვნას, ისევე როგორც, FLA-ს სამუშაო ადგილის ქცევის კოდექსის დებულებებს.

მოძველებული კანონით გათვალისწინებული მინიმალური ანაზღაურება საქართველოში, ტანსაცმლის სფეროში დასაქმებული პირებისათვის

ივნისი, 2015

საკითხი:

როგორ უნდა მიუდგინდეს FLA-ს პარტნიორები მოქმედი კანონით გათვალისწინებული მინიმალური ანაზღაურების არარსებობას, საქართველოში მოქმედი ტანსაცმლის მიწოდების საგან წყაროს უზრუნველყოფის შემთხვევაში?

საქართველოში მოქმედი მინიმალური ანაზღაურების ისტორია:

1990-იანი წლების შუა პერიოდში, ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლისა და ახლი დამოუკიდებელი საქართველოს საჭიროებების დადგომის შემდგომ, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ადმინისტრაციამ განსაზღვრა ქვეყანაში დასაქმებული პირების მინიმალური ანაზღაურების დონეები.

იმ დროისათვის, ჩამოყალიბებული იქნა მინიმალური ანაზღაურების განცალკევებული ოდენობები საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულთათვის. დროთა განმავლობაში, საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა მინიმალური ანაზღაურება რამდენჯერმე იქნა გაზრდილი (უკანასკნელად, 2007 წელს, მინიმალური ანაზღაურების ოდენობა გაუტოლდა ყოველთვიური საარსებო მინიმუმის ოდენობას, რომელიც შეადგენს 115 ქართულ ლარს [GEL], ან დაახლოებით \$50), თუმცა, 1990-იანი წლების კერძო სექტორში მოქმედი მინიმალური ანაზღაურება 20 ლარის (\$8.50) ოდენობით, არასოდეს გაზრდილა.

საქართველოს სავაჭრო გაერთიანების კონტეფერაცია აღნიშნავს, რომ არც საჯარო და არც კერძო სექტორების მინიმალური ანაზღაურება არ ამოქმედებულა და აცხადებს, რომ „კერძო სექტორში დასაქმებულებს, მისი არსებობაც კი დაავიწყდათ“. ამდენად მოძველებული კერძო სექტორის მინიმალური ანაზღაურებით, რომელიც ბევრად დაბალია იმ მინიმალურ ოდენობაზე, რომელიც დასაქმებულებს ესაჭიროებათ ცხოვრებისათვის და რომელიც ამასთანავე აუმოქმედებელია, საქართველოში მომუშავე მრავალ კომპანიასა და არასამთავრობო ორგანიზაციას მიაჩნია, რომ არავითარი მინიმალური ანაზღაურება ფაქტურად არ მოქმედებს ქარხანაში დასაქმებულთათვის. მოქმედი მინიმალური ანაზღაურების არარსებობამ უზარმაზარი უთანასწორობა გამოიწვია ტანსაცმლის ინდუსტრიაში მოქმედ ქარხნებს შორის.

როგორც „სუფთა ტანსაცმლის კამპანიის“ (CCC) ერთ-ერთ უკანასკნელ, პოსტ-საბჭოთა ევროპული ქვეყნების^{*} სახელმწიფო ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ანგარიშშია აღნიშნული „[ყველა გამოკვლევულ ქვეყანას შორის] საქართველოში დასაქმებული პირები ყველაზე მეტად დგანან სიღარიბის რისკის წინაშე... სამართლებრივი და ინსტიტუციონალური დაცვის თითქმის სრული არარსებობის გამო.“

FLA-ს კოდექსის ძირითადი ელემენტი-ანაზღაურება*:

“თითოეულ დასაქმებულს აქვს უფლება, მიიღოს ანაზღაურება, რეგულარული სამუშაო კვირის სანაცვლოდ, რომელიც საკმარისი იქნება დასაქმებულის ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მოიცავს გარკვეულ დისკრეციულ შემოსავალს. დამსაქმებლებმა დასაქმებულებს უნდა გადაუხადონ სულ მცირე მინიმალური ანაზღაურება ან შესაბამისი გავრცელებული ანაზღაურება, რომელიც უფრო მაღალია, უზრუნველყონ შესაბამისობა სახელმწიფო ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ყველა სამართლებრივ მოთხოვნასთან და დასაქმებულები უზრუნველყონ კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა დამატებითი სარგებლით. იმ შემთხვევაში, როდესაც ანაზღაურება არ აკმაყოფილებს დასაქმებულების ძირითად საჭიროებებს და არ მოიცავს გარკვეულ დისკრეციულ შემოსავალს, თითოეული დასაქმებული ვალდებულია, ითანამშრომლოს FLA-სთან, სათანადო ღონისძიებების გატარების მიზნით, რომელთა ამოცანასაც წარმოადგენს ეტაპობრივად ისეთი ანაზღაურების დანერგვა, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს.“

* <http://www.fairlabor.org/our-work/labor-standards>

სამართლიანი სახელფასო ანაზღაურებები საქართველოში:

გემოთხსენებული „სუფთა ტანსაცმლის კამპანიის“ ანგარიშის მიხედვით, ოთხი წევრისაგან შემდგარი ოჯახის საარსებო მინიმუმი საქართველოში შეადგენს დაახლოებით 109 ევროს ან დაახლოებით 274 ლარს³ (\$122). „ჯეოსტატი“⁴, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური მსგავს რიცხვებს ასახავს მის მიერ შემუშავებულ, საარსებო მინიმუმის ცხრილში და ოთხწევრიანი ოჯახის საარსებო მინიმუმად 287 ლარს ასახელებს, 2015 წლის მისში. CCC-ს ვარაუდობს, რომ აღნიშნული ოჯახის „საცხოვრებელი ანაზღაურება“ ბევრად მეტია და შეადგენს 1303 ლარს (518 ევროს.)

გემოაღნიშნულის მიუხედავად, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ციფრები ასახავს, რომ საქართველოში საშუალოდ დასაქმებული პირი ვერ აღწევს გემოთ მითითებულ ზღვარს. მათ მიერ შედგენილი ცხრილები ასახავს, რომ საქართველოში ყველა დასაქმებული პირის საშუალო ხელფასი 2013 წლის მესამე კვარტალში შეადგენდა 875 ლარს, ხოლო საჯარო სექტორში დასაქმებული პირების ხელფასი ოდნავ მეტს-1190 ლარს⁵.

გემოაღნიშნული შეესაბამება 2013 წელს, „ჯეოსტატის“ მიერ ჩატარებულ კვლევას, რომლის მიხედვითაც, კერძო სექტორში, საშუალო ყოველთვიური შემოსავალი შეადგენს 450-დან 890 ლარამდე ოდენობას, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებისა და ბონუსების ჩათვლით. ტანსაცმლის სფეროში დასაქმებულების ცალკეულ კატეგორიად გამოყოფის საფუძველზე, CCC აცხადებს, რომ მათი საშუალო ხელფასი ასაღები ხელფასის ოდენობა ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებისა და ბონუსების ჩათვლით, დაახლოებით 132 ევროს ან 31 ლარს (\$148) შეადგენს.

FLA-ს მოსაზრებები:

საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც არ გააჩნია მოქმედი მინიმალური ანაზღაურება. ისეთ შემთხვევებშიც კი, რომლებიც საქართველოს მსგავსად ექსტრემალური არ არის, ხშირად, კანონით გათვალისწინებული მინიმუმის გადახდა საკმარისი არ არის FLA-ს სამუშაო ადგილის ქცევის კოდექსის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც გულისხმობს დასაქმებულებისათვის ისეთი სახელფასო ანაზღაურების გადახდას, რომელიც „აკმაყოფილებს მათ ძირითად საჭიროებებს და მოიცავს გარკვეულ დისკრეციულ შემოსავალს“.

ამჟამად, FLA-ს ორი პარტნიორი უზრუნველყოფს წყაროს მოპოვებას საქართველოდან და მათ განაცხადებს, რომ მათი მიმწოდებელი ქარხნების საწყისი სახელფასო ანაზღაურება განსაზღვრავს ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, იმავე ტერიტორიაზე მოქმედ ტანსაცმლის სხვა ქარხნებთან და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოსთან კონსულტაციების საფუძველზე.

3. 2015 წლის 26 ივნისის გაცვლითი კურსის თანახმად.

4. http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=179&lang=eng

5. <http://www.state.gov/e/eb/rls/othr/ics/2014/228810.htm>

ყოველთვიური სახელფასო ანაზღაურება საქართველოში, თანხები მითითებულია ქართულ ლარში	
ოთხწევრიანი ოჯახის საცხოვრებელი ანაზღაურება (2014 CCC შეფასება შეადგენს 518 ევროს ექვივალენტს ლარში)	1303
საჯარო სექტორში დასაქმებულის საშუალო ხელფასი („ჯეოსტატი“, 2013)	1190
საშუალო დასაქმებული (აშშ-ს სახ. დეპარტამენტი 2013)	875
კერძო სექტორის საშუალო დასაქმებული, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებისა და ბონუსების ჩათვლით („ჯეოსტატი“, 2013)	450 - 890
ტანსაცმლის სფეროში საშუალო დასაქმებული, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებისა და ბონუსების ჩათვლით (CCC, 2014)	331
საარსებო მინიმუმი, ოთხწევრიანი ოჯახი („ჯეოსტატი“, 2015 წლის მისი)	287
საარსებო მინიმუმი, ოთხწევრიანი ოჯახი (CCC, 2014)	274
მინიმალური ანაზღაურება კერძო სექტორში	20

დამატებით, FLA მხარს უჭერს სახელფასო ანაზღაურებებისადმი ისეთი მიდგომის ჩამოყალიბებას, რომელიც მოიცავს დასაქმებულების ჩართულობას ცხოვრების ადგილობრივი ღირებულების განსაზღვრაში და აგრეთვე იმის დადგენაში, თუ რა სახელფასო განაკვეთია სამართლიანი ქარხნის მიერ მოთხოვნილი სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ. FLA-სთან ასოცირებულმა ბრენდებმა, მიმწოდებლების წინაშე, ყოველთვის მკაფიოდ უნდა გამოხატონ საკუთარი მხარდაჭერა თანამშრომლობაზე დაფუძნებული სავაჭრო პროცესების მიმართ, რომელიც გულისხმობს დასაქმებულების მოსაზრებების მხედველობაში მიღებას ხელფასების განსაზღვრისას, განსაკუთრებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმუმის არარსებობის შემთხვევაში.

საქართველოში დასაქმებულების ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით, FLA აქტიურ რეკომენდაციას უწევს მთავრობას, განსაზღვროს და დაანსოს გონივრული მინიმალური სახელფასო ანაზღაურება – დასაქმებულების დაცვის სხვა ღონისძიებებთან ერთად, ასეთებია მაგალითად, ეფექტური შრომითი შემოწმებები და უმუშევრობის ბენეფიტები. კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სახელფასო ანაზღაურებებთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უნდა ჩატარდეს დასაქმებულებთან, სავაჭრო გაერთიანებებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, ბრენდებთან და მომწოდებლებთან კონსულტაციებით, ხოლო საკუთარი განზრახვის დადასტურების სახით, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ILO-ს 26⁶ & 131⁷ კონვენციების რატიფიცირება. მთავრობამ პრაქტიკაში უნდა დანერგოს მის მიერ რატიფიცირებული ყველა საერთაშორისო კონვენცია და აიღოს ყველა დონის სოციალურ დიალოგში ჩართვის ვალდებულება, ძირითად შრომით სტანდარტებთან დაკავშირებით, მინიმალური სახელფასო ანაზღაურების ჩათვლით.

6. http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO: :P12100_ILO_CODE:C026

7. http://www.ilo.org/dyn/normlex/en/f?p=NORMLEXPUB:12100:0::NO:12100:P12100_INSTRUMENT_ID:312276:NO